პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

20 აგვისტო, ოთხშაბათი, 1986 წ.
№ 162 (9323) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ანონსი



„წამოდი, ბეისბოლი ვითამაშოთ!" მართალია, ეს ფრაზა ჯერჯერობით უცხოურად ჟღერს, მაგრამ ხვალ ახლო მომავალში... დაწვრილებით ინფორმაციას ...

... გვილშვას მოგებ... მოხდე-
სი აქვთ შესაბამისად სტრუტ-
იასა და კულიშთან შეხვედრ...
მელაშვილს მცირე უპირატეს
აქვს ფათალიშვკოვასთან (გადა-
ნულ პარტიაში.

ამრიგად, ათი ტურის შე...
ფლორა უსკოვას 6,5 ქულა ...
გროვდა. 5,5-5,5 ქულა და ...
გადადებული პარტია აქვთ ნატ...
ალიოხინას (მოსკოვის ოლქი),
ნრიეტა ლაგვილავას (ქუთა...
ირინა კულიშსა (კრასნოიარსკი),
გალინა სტრუტინსკაიას (მოსკ...
5-5 ქულა მოაგროვეს ელენა
თალიბეკოვამ (მოსკოვი), დიანა
ჩენკომ და მზია წერეთელმა (...
რაძე), ქეთევან არახამიას 4,5 ...
ლა და სამი გადადებული პა...
აქვს, ქეთევან მელაშვილს —
(1).

თამაზ ხარ...

# შუალედურ ფინიშთან

## ...ორ დავამთავრეთ სასპარტაკიადო შეჯიბრებების პირველი ეტაპი?

...თხველმა იცის, რომ თორმეტ ...დაში უკვე დამთავრდა სსრ ...ის ხალხთა IX საზაფხულო ...აკიადის პროგრამით გათვა-...ნებული შეჯიბრებები. ხან-...ე შესვენების შემდეგ ასპა-...ები კვლავ განახლდება. ჩე-...ბი და პრიზიორები უნდა ...ლინდნენ სპორტის დანარჩენ ...ებში.

...მოუტანა საქართველოს სპო-... დელეგაციას განვლილმა ...ებებმა, რა შედეგით მივე-... „შუალედურ ფინიშთან" და ...ვკარგეთ? შეიძლება ახლა ...ოს საჭირო ამაზე ლაპარა-...ვლაფერი ხომ მაინც საბო-... შედეგებით ფასდება. მაგ-...აკი სპორტის გულშემატკი-... ასეთ დიდ ინტერესს იჩენენ ...აკიადისადმი, შეჯიბრებების ...ნაწილი კი წინ გვიძევს, ვფი-..., გულახდილი საუბარი სა-...რ წაახდენს.

... დავიწყოთ? იმით, რაც იგე-...და და რაც სინამდვილეში ...ოვეთო, — იტყვის ალბათ ...ელი. დიახ, იმ სახეობებში, ...ებშიც უკვე დამთავრდა შე-...ები, დაგეგმილი მედლები-... ქულების კარგა დიდი ნა-... დავკარგეთ. მკითხველი გუ-...მით ადევნებს თვალყურს სა-...კიადო ბატალიებს — ითვ-...ადარებს, ვარაუდობს. რეს-...კის სპორტსახკომმა თავად ...ა საჯაროობა პროგნოზებს, ...ვენს გაზეთშიც გამოქვეყნდა. ...ველთა დიდი ნაწილი იწო-... პრინციპულობას და გულახდი-..., როცა საქმე პროგნოზებსა ...ალურ შედეგებს შორის სხვა-... მსჯელობას ეხება. მკითხვე-... გულშემატკივარი აქტიურია, ... პასუხს მოითხოვს კითხვაზე: ...მ?

...ლისელი ინჟინერი მ. კვე-... გვწერს: „მე მესმის, რომ ...ოზი შეიძლება არ გამართ-..., მაგრამ როცა გუნდი პირ-...ან მეორე ადგილს ვარაუ-... და VIII ან X ადგილზე გა-...ქ მიზეზების სერიოზული და ...ძებნაა საჭირო..." სპორტის ...შემატკივართა მეორე ნაწილის ...ვას გამოხატავს პედაგოგი ...ბალაძე (თბილისი). იგი წერს: ...ოს და ბოლოს საქმე ის კი ...ის, ვინ რამდენი მედალი და ... მოაგროვა და რამდენი იყო ...მილი, არამედ ის, იგრძნობა ...რა საერთო წინსვლა და რო-... ტენდენციით ვითარდება ... სპორტული მოძრაობა. მაგ-...ეც მაეჭვებს და ალბათ სხვე-... რატომ ხდება, რომ პროგნო-... მეტწილად არ მართლდება? ...ალისტები ჰაიჰარად ხომ არ ...ღობენ შედეგებს?"

...ერს აინტერესებს, რა საჭი-... რატომ მოითხოვენ პროგნო-... ნაკრები გუნდების ხელმძღვა-...ებისაგან. განა არ შეიძლება ...ოზების გარეშე?...

... თქმა უნდა, შეიძლებოდა და ...ვიტყვით — არც შეიძლებო-და. არ შეიძლებოდა იმიტომ, რომ იმ კურსს და დამოკიდებულებას, რომელიც სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში გამოიკვეთა, არც ერთ ინსტანციაში მხარდაჭერა არ მოჰკლებია. ხომ არ შეიძლებოდა ნაკრების მწვრთნელებისთვის ეთქვათ: მოითხოვეთ, რაც გინდათ, ხელშეწყობა იქნება, მაგრამ ის შედეგები აჩვენეთ და ის ადგილი დაიკავეთ, რასაც შეძლებთო. ერთი სიტყვით, პროგნოზი ორიენტირად გამოიკვეთა იმ დახმარება-ხელშეწყობის გათვალისწინებით, რაც რეალურად არსებობდა.

სხვა საქმეა, რამდენად სწორად აფასებდნენ თავიანთ და მეტოქეთა შესაძლებლობებს პროგნოზების შემუშავებისას ნაკრების ხელმძღვანელები, სპეციალისტები, სპორტსახკომის შესაბამისი ქვეგანაყოფი. ეს საკითხი ალბათ სერიოზული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. ის, რომ ჩვენი სპეციალისტები ყოველთვის ღრმად ვერ სწვდებიან თანამედროვე სპორტის ტენდენციებს, მხოლოდ ზოგიერთ სახეობაში გაცრუებული იმედებიდან როდი ჩანს. პირიქითაც ხომ მოხდა რამდენიმე სახეობაში — ვგეგმავდით უარესს და მოვიპოვეთ უკეთესი შედეგი. მოხდა ისიც, რომ თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუდოში, აფროსნობაში დაგეგმილ ქულებს გადავაჭარბეთ, მაგრამ დაგეგმილი ადგილი ვერ დავიკავეთ.

სხვა საკითხია, როგორ უნდა შეფასდეს საშუალედო ფინიშთან ნაჩვენები შედეგები, ამაზე კი ყველაზე ზუსტ პასუხს აქვე შემოთავაზებული ცხრილები გაგვცემს. როგორც ხედავთ, ახლა ჩვენი რესპუბლიკა მეხუთე ადგილზეა ქულათა საერთო რაოდენობითაც და მედლების რიცხვითაც. ცხადია, მთავარი ბრძოლები წინ არის. მაშ რატომ გაგვიჩნდა ამ ეტაპზე უკმაყოფილების გრძნობა? ის ზრუნვა-ყურადღება და მხარდაჭერა, რასაც საერთოდ რესპუბლიკის სპორტული მოძრაობისადმი და ნაკრები გუნდებისადმი იჩენენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და სპორტსახკომი, მეტს ავალებდა და ავალებს სპეციალისტებს და სპორტსმენებს, მადლიერების ნიშნად, ცხადია, მათგან უკეთეს შედეგებს მოელოდა და მოელის ჩვენი საზოგადოებრიობა. ეს მოთხოვნა ძალაში დარჩება მომავალშიც, ყველა ეტაპზე. ეს არის მუშაობის სტილი, სტრატეგიული კურსი, რომელსაც არ ელალატება. სხვაგვარად წინ ვერ წავალთ და მუშაობას რადიკალურად ვერ გარდავქმნით.

დაბოლოს, გვინდა მოვიყვანოთ ერთი ნაწყვეტი წყალტუბოელი სპორტის გულშემატკივრის ბ. მალაკელიძის წერილიდან: „რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა სწორ კურსს ადგას, მე მჯერა, რომ ახლო მომავალში ქართული სპორტი კვლავ ალორძინდება და ჩვენი სპორტსმენები თვალსაჩინო წარმატებებით არაერთხელ მოგვანიჭებენ სიხარულს".

### არაოფიციალური საერთო გუნდური ჩათვლა

მდგომარეობა 20 აგვისტოსათვის

(12 სახეობა, 16 პროგრამა)

| ადგილი | მოკავშირე რესპუბლიკები, ქალაქები | ქულები |
|---|---|---|
| 1. | უკრაინა | 2.713,0 |
| 2. | რსფსრ | 2.385,0 |
| 3. | ქ. მოსკოვი | 2.117,0 |
| 4. | ბელორუსია | 1.792,5 |
| 5. | საქართველო | 1.214,0 |
| 6. | ყაზახეთი | 1.129,5 |
| 7. | ქ. ლენინგრადი | 1.058,0 |
| 8. | უზბეკეთი | 945,5 |
| 9. | სომხეთი | 864,0 |
| 10. | ლიტვა | 809,5 |
| 11. | ლატვია | 784,5 |
| 12. | აზერბაიჯანი | 728,0 |
| 13. | ესტონეთი | 725,0 |
| 14. | მოლდავეთი | 671,5 |
| 15. | ყირგიზეთი | 186,0 |
| 16. | თურქმენეთი | 134,0 |
| 17. | ტაჯიკეთი | 127,5 |

### მედლები

მდგომარეობა 20 აგვისტოსათვის

(12 სახეობა, 16 პროგრამა)

| ადგილი | მოკავშირე რესპუბლიკები, ქალაქები | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | უკრაინა | 15 | 15 | 11 | 41 |
| 2. | რსფსრ | 19 | 9 | 5 | 33 |
| 3. | ქ. მოსკოვი | 7 | 12 | 12 | 31 |
| 4. | ბელორუსია | 7 | 5 | 14 | 26 |
| 5. | საქართველო | 8 | 2 | 4 | 14 |
| 6. | ყაზახეთი | 2 | 5 | 6 | 13 |
| 7. | აზერბაიჯანი | 2 | 4 | 5 | 11 |
| 8. | ქ. ლენინგრადი | 2 | 1 | 7 | 10 |
| 9. | სომხეთი | 1 | 3 | 5 | 9 |
| 10. | უზბეკეთი | 1 | 4 | 3 | 8 |
| 11. | ესტონეთი | — | 5 | 3 | 8 |
| 12. | ლიტვა | 2 | 1 | 4 | 7 |
| 13. | ლატვია | 1 | 1 | 3 | 5 |
| 14. | მოლდავეთი | 1 | — | 3 | 4 |
| 15. | ტაჯიკეთი | — | 1 | — | 1 |
| 16. | თურქმენეთი | — | — | 1 | 1 |
| 17. | ყირგიზეთი | — | — | — | 0 |

შენიშვნა: სამ სპორტსმენს—თავისუფალ ჭიდაობაში ეგია მუსოიანს და დავით ხურციას, ხოლო კლასიკურ ჭიდაობაში თენგიზ თედორაძეს ევროპის პირველობიდან პარალელურად ჩაეთვალათ მესამე საპრიზო ადგილი და შესაბამისი ქულები მედლის გარეშე მიიღეს.

**...ნარმოო გაერთიანება „სამთო ქიმიის" ხელმძღვანელობა მისა-...ძ მაგალითს იძლევა თუ როგორ უნდა ვზრუნავდეთ ფიზკულ-...ურასა და სპორტში მოსახლეობის ფართო ფენების მეცადინე-...ბისათვის პირობების შესაქმნელად.**

იხ. მე-2 გვ.

## სსრ კავშირის თასის გა...

# და მაინც ცსკა

მოხდა ისე (და ამას ალბათ ბევრი ელოდა), რომ კალათბურთელთა საკავშირო თასის გათამაშების ფინალური ტურნირის ერთადერთი საგზურის ბედი თბილისის ქვეჯგუფში გამართულ უკანასკნელ მატჩში გადაწყდა. გუშინწინ სალამოს სპორტის სასახლის სარბიელზე მასპინძლები მოსკოვის არმიელებს ხვდებოდნენ.

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ ცსკა-ს თბილისში არ ჩამოუყვანია თავისი ხუთი საუკეთესო მოთამაშე. და მაინც, რა დასამალია, ამ კოლექტივის სხვა გამოცდილი კალათბურთელები (ლოპატოვი, მიშკინი, გუსევი, მელეშკინი, ენდენი...) მრისხანე მეტოქეები არიან უმაღლესი ლიგის ბევრი გუნდისთვის. მიუხედავად ამისა, თბილისელებს შეეძლოთ ამ მატჩში წარმატებისთვის ბრძოლა, წინა შეხვედრაში დერიუგინი რომ არ დაშავებული-

იხ. მე-4 გვ.



# კარპოვის პირველი ტაიმ-აუტი

გ. კასპაროვისა და ა. კარპოვის მატჩ-რევანშის მეცხრე პარტია, რომელიც გუშინწინ უნდა გამართულიყო, დღეისათვის არის დანიშნული. პირველი ტაიმ-აუტი აიღო მსოფლიოს ექსჩემპიონმა.

# მილოცვას იღებს კუბელი ოსტატი

ნორვეგიის ქალაქ გაუსდალეში დამთავრდა ახალგაზრდა მოჭადრაკეთა (20 წლამდე) მსოფლიო ჩემპიონატი. ჩემპიონის ტიტული მოიპოვა კუბელმა ოსტატმა ვალტერ არენსიბიამ, რომელმაც 13 შესაძლებლიდან (ტურნირი შვეიცარიული სისტემით მოეწყო) 9,5 ქულა მოაგროვა. ამდენივე ქულა ჰქონდა ნორვეგიელ საერთაშორისო დიდოსტატს სიმენ აგდესტეინსაც, მაგრამ იმის გამო, რომ მესამე ტურში დამარცხდა მომავალ ჩემპიონთან, მას ვერცხლის მედალი ერგო. საბჭოთა მოჭადრაკემ ევგენი ბარეევმა III-V ადგილები გაიყო იოზეფ კლინგერთან (ავსტრია), დიბენდე ბარუასთან (ინდოეთი) და ფერდინანდ ჰელერსთან (შვეცია) ერთად. სამივეს 9-9 ქულა აქვს.

სულ შეჯიბრებაში 55 ქვეყნის 62 ახალგაზრდა მოჭადრაკე მონაწილეობდა.

**„ყოველნაირად ახალისებდნენ შრომითი კოლექტივების, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების, მოსახლეობის ინიციატივას უმარტივესი სპორტული ნაგებობების მშენებლობაში. თანმიმდევრულად აღწევდნენ იმას, რომ ყოველ შრომით კოლექტივს ჰქონდეს ასეთი ნაგებობა. ბეჯითად ვავრცელებდეთ საწარმოებისა და დაწესებულებების საშეფო დახმარების პრაქტიკას საცხოვრებელ მიკრორაიონებში, სპორტულ-მასობრივი მუშაობის წარმოებაში“.**

„ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

...იღწეული
...განაკარგ...

...სასრული

...ველი ადგილი უკავია, ხოლო ...ლგოპოლოვს — მეხუთე. უპი-...ესობა აქაც უფრო ძლიერის ...რეს იყო: ჩესნოკოვმა გაიმა-...ა — 6:2, 3:6, 6:4, 7:6. ...რინჯაოს მედალი ესტონელ ან-...ს ვისანდს გადაეცა. მისი და ...ვლადიმერ გაბრიჩიძის...

# „სამთო ქიმიის“ სპორტული პროფილი

— ვფიქრობ, რომ ყველა, სპორტსმენი იყო იგი თავის დროზე თუ არა, შეძლებისდაგვარად უნდა ზრუნავდეს სპორტის კეთილდღეობაზე. პირადად მე არ შემხვედრია კაცი, რომელსაც სპორტი არ უყვარს, არ გულშემატკივრობს ფეხბურთს, ჭიდაობას, კალათბურთს, მაგრამ საკითხავია რას აკეთებენ ისინი სპორტის საკეთილდღეოდ. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს გიგანტური სტადიონის აგებას ვთხოვდეთ ვინმეს. ჩემი აზრით ამ კეთილშობილური საქმისათვის ყველა ჩვენგანი უნდა ზრუნავდეს, თავის სამსახურებრივ მდგომარეობას და ავტორიტეტსაც

ჩვენს „სამთო ქიმიას“ 10 საწარმო და 6 მსხვილი უბანი აქვს. პირადად მე თვეში ერთხელ მაინც მიწევს მათი შემოვლა — დაახლოებით 1500 კილომეტრს ვფარავ. გაითვალისწინეთ, რომ ისინი მეტწილად მაღალმთიან, ძნელადმისასვლელ ადგილებშია განლაგებული. მოდი და ნუ იქნები ამის შემდეგ კარგ სპორტულ ფორმაში?!

⊙ **ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენს ორდენოსან კოლექტივში უყვართ ფიზკულტურა და სპორტი.**

— თუ ციფრების ენით ვიტყვით, გაერთიანების ოთხი ათასი თანამ-

თა სამმართველოს სპორტული კომპლექსით (დახურული სპორტული დარბაზი, ორი ღია სპორტული მოედანი, ღია საცურაო აუზი). სხვათა შორის, წყალტუბოში ავაგეთ ხელბურთის ღია მოედანიც. იქ შეკრებებს ატარებს რესპუბლიკის ხელბურთელ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა. გაისად იქვე დავიწყებთ სამედიცინო ცენტრის მშენებლობას. საკმაოდ დიდი სპორტული კომპლექსი გვაქვს მახარაძეში, ესაა მაღაროთა სამმართველოს კეთილმოწყობილი სპორტდარბაზი, ზომით 30X18მ. ამ ბაზას აქვს გასახდელები, საშხაპეები, 200-ადგილიანი სასადილო,

...დანი სპორტსმენებს ...თეატრი... საწყობად ... სხვა ადგილი უფრო გამოდგება...

⊙ **რაკი ხელბურთი ვახსენე... ორიოდე სიტყვა ვთქვათ ჩვენი... რესპუბლიკის ვაჟთა ნაკრები... წარმატებაზე სსრ კავშირის ხალ... თა IX სპარტაკიადაზე.**

— პირდაპირ გეტყვით, ას... წარმატებას არ ველოდით. ახალ... რდული, შედარებით გამოუცდე... კოლექტივია. მიუხედავად ამი... საკმაოდ კარგად ითამაშა და ... პატიო მეოთხე ადგილი მოიპო... როგორც ჩანს, ჩვენს დიდ ხე... ბურთს ჰყავს საიმედო რეზერ...

**კაცმა** რომ თქვას, უკვე თვით ცნება „ქიმიას“, თუნდაც „სამთო ქიმიას“, არაფერი აქვს საერთო სპორტთან, მაგრამ სპორტული გაზეთის რეპორტიორი მაინც ეწვია „დიდუბის“ მეტროს შორიახლო მდებარე რკინაბეტონის ხუთსართულიან შენობას, ლამაზი აბრა საწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმია“ რომ ამშვენებს. ამ ფრიად საინტერესო საწარმოს (მერე შევიტყვეთ, რომ იგი ერთადერთია კავშირში) დღიდან დაარსებისა, სპორტის ჭეშმარიტი ენთუზიასტი და მოჭირნახულე ნიკოლოზ ცხაკაია უდგას სათავეში.

სტუმრობის საბაბი მართლაც რომ გვქონდა: ამ ცოტა ხნის წინ მეთერთმეტე ხუთწლედში მოპოვებული წარმატებებისათვის საწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმია“ დააჯილდოვეს ხალხთა მეგობრობის ორდენით, ხოლო მის გენერალურ დირექტორს ნიკოლოზ ცხაკაიას მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი მიენიჭა.

⊙ **ვიცით, რომ ახალგაზრდობაში, უფრო ზუსტად საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში, კარგი კალათბურთელი იყავით, გიყვარდათ ფეხბურთი, ხელბურთი, ჭადრაკი. ეს სიყვარული დღემდე არ განელებიათ. უკვე მეოთხე წელიწადია ხელბურთის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე ხართ და სპორტის ამ სახეობის განვითარებაზე ზრუნავთ.**

უნდა იყენებდეს. ერთი სიტყვით, შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებდეს. მაშ სხვა ვინ იზრუნებს ჩვენს ხვალინდელ დღეზე, ჩვენს გოგობიჭებზე. ყველას შეგვიძლია უბრალო ბადე მაინც შემოვავლოთ მოედანს, ბურთი და ჩოგანი შევუძინოთ ნორჩებს, გატეხილი კარის ძელი შევაკეთოთ. კაცმა რომ თქვას, ფიზკულტურასა და სპორტს რად უნდა გამორჩეული დღე. ფიზიკურ კულტურასა და სპორტს ყოველი დღე, დიახ, 365 დღე უნდა ეთმობოდეს, ჯანმრთელობის გაკაჟებისათვის დრო არ უნდა გვენანებოდეს, ყოველ შემთხვევაში, დილის ვარჯიშისთვის მაინც.

⊙ **თქვენ თვითონ?...**

— დილის ვარჯიშის გარეშე დღე ვერ წარმომიდგენია. დილაადრიან სადაც არ უნდა ვიყო, 15 წუთს მაინც ვვარჯიშობ და 10-წუთიანი ცივი წყლის პროცედურის შემდეგ თავს შესანიშნავად ვგრძნობ. ცხადია, ასეთ რეჟიმს ჩემი შვილები და შვილიშვილებიც შევაჩვიე. ოჯახში „პროფესიონალი“ სპორტსმენიც გვყავს — ჩემი 15 წლის შვილიშვილი რამაზი ფეხბურთის სკოლაში სწავლობს, ნახევარმცველია. მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ „მარადონობა“ მოინდომა. დიახ, 56 წლის კაცი ვარ, მაგრამ ფეხით სიარულს არ ვერიდები, საკმაოდ ბევრსაც დავდივარ. ესეც თქვენი „ქვეითი ტურიზმი“. საქმე ისაა, რომ

შრომლიდან 2580 ფიზკულტურელია, აქედან სპორტულ სექციებში 1350 კაცია გაერთიანებული. ჩვენს სისტემაში 30 ფიზკულტურის მეთოდისტი გვყავს, მათგან ნახევარზე მეტი უმაღლესი განათლებითაა. რეგულარულად ვატარებთ სპარტაკიადებს, შიდასაწარმოო პირველობებს, სხვადასხვა შეჯიბრებებს, მაგალითად, ისეთებს, როგორიცაა „მთელი ბრიგადით — სტადიონზე!“. ამაში დიდად გვეხმარება ე. წ. ფიზკულტურისა და სპორტის ხელშემწყობი საბჭო, რომელშიც ყველა საწარმოს წარმომადგენელი შედის. სამთოქიმიკოსებს განსაკუთრებით იტაცებთ ფეხბურთი, ფრენბურთი. კალათბურთი, ხელბურთი, ტყვიის სროლა, ჭადრაკი. მართალია, ჯერჯერობით დიდი ჩემპიონები არა გვყავნან, მაგრამ სპორტულ თანრიგოსანთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს.

⊙ **„სამთო ქიმიას“ საკმაოდ ბევრი სპორტული მოედანი აქვს და თუ არ ვცდებით, დღესაც აშენებთ...**

— სულ 28 მოედანი გვაქვს. ექვს-ექვსი ხელბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთის და ოთხიც ფეხბურთის. შეგვიძლია ვიამაყოთ ამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე აშენებული სპორტული კომპლექსით, სამსართულიანი სავარჯიშო ბაზით, ორაბაზანიანი დახურული საცურაო აუზით, ჩოგბურთის ღია და დახურული კორტებით ქუთაისში, „ქუთბარიტის“ მაღაროთა სამმართველოს სპორტული მოედნებით, წყალტუბოში „საქგუმბრინის“ მაღარო-

კლუბი, რომელიც 400 მაყურებელს იტევს. არც სოფლები დავივიწყეთ. ამბროლაურის რაიონში, სოფელ ურავში ჩვენმა სამთოქიმიურმა ქარხანამ ააშენა კეთილმოწყობილი სპორტდარბაზი და ღია საცურაო აუზი, რომელთა სიკეთით ერთნაირად სარგებლობენ ქარხნის მუშა-მოსამსახურენიც და ადგილობრივი საშუალო სკოლის მოსწავლეებიც. თონის რაიონის სოფელ ირის ჩორდის მაღაროთა სამმართველოს საშუალო სკოლასაც კარგი სპორტული დარბაზი ავუგეთ. ამ დღეებში აქ ექსპლოატაციაში შევა ღია სპორტული მოედანი და საცურაო აუზი.

⊙ **ფართო მასშტაბებია, ალბათ თბილისსაც არ ტოვებთ უყურადღებოდ.**

— ვაკეში, ფიზკულტურის ინსტიტუტის გვერდით ვაშენებთ ხელბურთის მოედანს, რომელიც წელს დამთავრდება და ძირითადად ჩვენი აპარატის სპორტსმენებს მოემსახურება. კარგა ხანია გვინდა ავაგოთ ხელბურთის ღია მოედნების კომპლექსი „ბურევესტნიკის“ სპორტული კომპლექსის გვერდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ქალაქის ალმასკომმა დღემდე ვერ გადაწყვიტა ეს საკითხი. იმედი მაქვს, მისი თავმჯდომარე ზაურ მესხიშვილი გულისხმიერად მოეკიდება ხელბურთელთა თხოვნას. ადრეც მითქვამს და დღესაც გულისტკივილით ვიმეორებ, რომ დროა პროფკავშირთა კულტურის სახლში არსებული ხელბურთის მოე-

(საუბრის დროს წამდაუწ... წკრიალებდა ტელეფონის ზარ... რეკავდნენ მოსკოვიდან, ქუთაი... სიდან, მახარაძედან... იძულებით... „ტაიმ-აუტებისას“ ოთახში გამო... ნილ ექსპონატებს ვათვალიერე... დით — სხვადასხვა მინერალებ... დან დაწყებული პოპულარულ... კბილის პასტა „ლუგელამდე“)...

⊙ **ახლა თვით „სამთო ქიმიის“ ... მიანობაზეც გვითხარით ორიოდ... სიტყვა.**

— ჩვენი საზრუნავია თითქმ... ყველაფერი ის, რაც ბუნება... წიაღისეულის სახით მოიპოვე... 56 სახის. პროდუქციას ვამზად... წარმოიდგინეთ, ვუშვებთ დარი... ნისა და მისი შენაერთების... მომზადებულ სხვადასხვა სახ... თიხას, რომელიც გამოიყენება ... ყალიბედ თუ ბურღვისათვის, მ... დიცინაში, კომბინირებული საკვ... ბისათვის, ზეთების გასაწმენდ... და ა. შ. დღეს კიდევ ერთი მეტ... საპატიო დავალება გვაქვს: ჩერ... ბილში ვგზავნით მინერალ ცეო... ტებს, რაც ჩამდინარე და მიწი... ქვეშა წყლების დეზაქტივაციის... თვის საკმაოდ ეფექტური საშუ... ლებაა. სულ 100 ათასი ტონა უ... გავგზავნოთ. დიახ, „სამთო ქიმ... ის“ კოლექტივმა თავისი წვლილ... უნდა შეიტანოს ამ დიდ საქმე... — თანადგომა, ძმობა და კაც... მოყვარეობა რომ ჰქვია.

ესაუბრ...
**ოთარ ნოზაძ...**

## პიონერული ზაფხული—86





**ყ**ოველწლიურად 1200-ზე მეტი ბავშვი ისვენებს ამიერკავკასიის რკინიგზის სამშენებლო ტრესტის წყნეთის პიონერთა ბანაკ „მზიურში“ (დირექტორი იაკობ ბარამიძე). პიონერებმა უკვე ჩაატარეს საბანაკო სპარტაკიადა: შეჯიბრებები ჭადრაკში, ფეხბურთში, ფრენბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში, სალაშქროდ იყვნენ უძოს მთაზე. ახლახან „მხიარული სტარტებიც“ გამართეს. ბანაკში დიდი პოპულარობით სარგებლობს გოგონათა ფეხბურთი. რამდენიმე დღის წინ პიონერებს ესტუმრა საერთაშორისო ოსტატი ჭადრაკში ზურაბ სტურუა. მან ერთდროული თამაშის სეანსი გამართა რვა დაფაზე.

სურათებზე: ეპიზოდები ბანაკის ცხოვრებიდან.

ტექსტი და ფოტო ჯემალ კასრაძისა.





**ვუბრუნდებით დაბეჭდილს**

რედაქციას უპასუხებს სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭო

# „შეტევა მატჩის შემდეგ“

ამ სათაურით მიმდინარე წლის 10 ივლისს „ლელოში“ გამოქვეყნდა წერილი რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის „ბ“ ფინალური ჯგუფის მონაწილეთა — თბილისის „შევარდენისა“ და ლენინგრადის „პრიმორეცის“ მატჩის შემდეგ მომხდარი ინციდენტის შესახებ. ამ საკითხზე იმსჯელა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა. გთავაზობთ პასუხს, რომელიც ამ საზოგადოებიდან მივიღეთ.

„ინციდენტის გამომწვევი მიზეზი გახდა სტუმართა გუნდის ერთ-ერთი წევრის უხეშობა. მიუხედავად ამისა, — ითქვა პრეზიდიუმის სხდომაზე, — თბილისელებს მეტი თავშეკავება მართებდათ. მეტოქის უხეშობა და ამ უხეშობის მძიმე შედეგი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაამართლებს მატჩის შემდეგ ამტყდარ ჩხუბსა და ხულიგნურ ანგარიშსწორებას.

მომხდარი ფაქტის შემოწმებამ ცხადყო, რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონი არ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რაც აუცილებელია საკავშირო ასპარეზობების, კერძოდ რეგბისტთა ჩემპიონატის მატჩების ჩასატარებლად: სტადიონს არა აქვს ტრიბუნები, სა-

შხაპეები, მატჩებზე არ იწვევენ წესრიგის დამცველი ორგანოების წარმომადგენლებს. ინსტიტუტის რეგბისტთა გუნდში მოისუსტებს იდეოლოგიური და აღმზრდელობითი მუშაობა, რის გამოც პრეზიდიუმმა საყვედური გამოუცხადა „შევარდენის“ უფროს მწვრთნელს რ. სანებლიძეს და მწვრთნელს ზ. ლოსაბერიძეს.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორატის წინაშე დაისვა უახლოეს პერიოდში ინსტიტუტის სტადიონის სათანადოდ მოწყობის საკითხი. „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს სასწავლო-სპორტული განყოფილების გამგეს გ. გოდერძიშვილსა და განყოფილების უფროს ინსტრუქტორს გ. ახალკაციშვილს დაევალათ მკაცრ კონტროლზე აიყვანონ გუნდის სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მიმდინარეობა და სათანადო და დროული დახმარება აღმოუჩინონ მას.

მიღებული დადგენილების განუხრელად შესრულებაზე დაწესებულია მკაცრი კონტროლი“.

**ოთარ კალაძე,**
სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

## საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი

# ფინიშზე სიმძაფრემ იმატა

ქუთაისი, 19 აგვისტო (ტელეფონით, „ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი). სამი ტურიც და, მოჭადრაკე ქალთა 46-ე ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირის მონაწილენი ერთმანეთს დაემშვიდობებიან. ოღონდ, საკითხავი ისაა, ვინ რა გუნებაზე იქნება იმ მომენტისთვის. დღეისათვის ბევრი რამ გაურკვეველია. ფინიშის სიმძაფრეს ისიც უწყობს ხელს, რომ ტურნირზე დაწესებულია ოსტატის ნორმა (6 ქულა).

IX ტური ყველაზე შედეგიანი გამოდგა — ყველა მონაწილე ჩაეტია „ძირითად დროში“. მინსკელმა ოლგა ლომაკინამ, რომელმაც შეჯიბრების სტარტზე ზედიზედ რამდენიმე მარცხი იწვნია, მკვეთრად გააუმჯობესა თამაში და ზედიზედ. ოთხი პარტია მოიგო, დაამარცხა ტურნირის ერთპიროვნული ლიდერი ფლორა უსკოვაც (ალმაათა). სამაგიეროდ, უსკოვამ შეანელა ტემპი. მან ტურნირი ისე დაიწყო, როგორც საერთოდ ფავორიტს შეჰფერის, ბოლო ტურებში კი წაიფორხილა და ორი პარტიის დათმობაც მოუხდა. თუმცა IX ტურში მეტად საწყენი მარცხი იწვნია თბილისელმა ქეთევან არახამიამ, იგი მაინც რჩება შეჯიბრების პოტენციურ ლიდერად. საქმე ისაა, რომ მას სამივე პარტია უკეთეს მდგომარეობაში აქვს გადადებული.

ახლა ვნახოთ, ვინ რა შემატა თავის აქტივს ბოლო ტურებში.

რვა ტურის შემდეგ გადადებული პარტიები ასე დამთავრდა:

**IV ტური:** უსკოვა — კულიში 0:1;

**V ტური:** მელაშვილი — უსკოვა 0,5:0,5, კულიში — წერეთელი 0,5:0,5, ნასიროვა — ალიოხინა 0,5:0,5, ბოტვინიკი — სტრუტინსკაია 0,5:0,5, ლომაკინა — ეშჩენკო 1:0;

**VI ტური:** არახამია — ლაგვილავა 1:0, სედინა — ბოტვინიკი 0:1, სტრუტინსკაია — ლომაკინა 1:0, ალიოხინა — ეშჩენკო 0,5:0,5;

**VII ტური:** ლაგვილავა — უსკოვა 0,5:0,5, კულიში — ალიოხინა 1:0, ლომაკინა—სედინა 1:0;

**VIII ტური:** სედინა — ეშჩენკო 0:1, ალიოხინა — სტრუტინსკაია 1:0;

**IX ტურში** ეშჩენკომ მოუგო არახამიას, ლომაკინამ — უსკოვას, ლაგვილავამ — ნასიროვას, მელაშვილ — ალიოხინასა და ფათალიბეკოვა — კულიშის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ბოტვინიკი დამარცხდა წერეთელთან, სტრუტინსკაია — სედინასთან.

**X ტურში** უსკოვამ დაამარცხა ეშჩენკო, წერეთელმა წააგო ლომაკინასთან შეხვედრა, ნასიროვამ — ბოტვინიკთან. არახამიასა და ლაგვილავას მოგების რეალური შანსი აქვთ შესაბამისად სტრუტინსკაიასა და კულიშთან შეხვედრებში. მელაშვილს მეტი უპირატესობა აქვს ფათალიბეკოვასთან გადადებულ პარტიაში.

ამრიგად, ათი ტურის შემდეგ ფლორა უსკოვას 6,5 ქულა დაუგროვდა. 5,5-5,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ ნატალია ალიოხინას (მოსკოვის ოლქი), ჰენრიეტა ლაგვილავას (ქუთაისი), ირინა კულიშსა (კრასნოიარსკი) და გალინა სტრუტინსკაიას (მოსკოვი). 5-5 ქულა მოაგროვეს ელენა ფათალიბეკოვამ (მოსკოვი), დიანა ეშჩენკომ და მზია წერეთელმა (მახარაძე), ქეთევან არახამიას 4,5 ქულა და სამი გადადებული პარტია აქვს, ქეთევან მელაშვილს — 3,5 (1).

**თამაზ ხარაბაძე.**

## I ლიგა

18 აგვისტოს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XIX ტურის შეხვედრები.

**„გურია“ (ლანჩხუთი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 2:4 (1:1).**

**ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 18 აგვისტო.**

**„გურია“: მჭედლიძე, დანელია, შევცოვი (თოფურიძე), ე. თევზაძე, მელიქია, ებანოიძე (კონდრატიევი), კოპალეიშვილი, ტყებუჩავა (იმნაძე), ჩხაიძე, ფრიდონიშვილი, მ. თევზაძე.**

**„კუზბასი“: კრიუკოვი, ხარიტონოვი, კუზმინი, მიხნევიჩი, კოლჩინი, ზემლინი, სიჩკარუკი, სოლოვიოვი, რაზდაევი, ბოლოგოვი, კიჟოვი.**

**მსაჯი ვ. ილიუშინი (რიგა).**

ლიგის მეორე ლიდერისა და ერთ-ერთი აუტსაიდერის მატჩში, რომელიც ლიდერის სტადიონზე მიმდინარეობდა, მასპინძლებს, თითქოს, არ უნდა გასჭირვებოდათ გამარჯვება, მით უფრო, რომ შეჯიბრება ლიგაში ახლა უკიდურესად დაიძაბა და თითოეულ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ, პირდაპირ უნდა ითქვას, ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა უკიდურესად სუსტად, მოუნდომებლად, უპასუხისმგებლოდ ითამაშეს, განსაკუთრებით ინერტულად მოქმედებდნენ მცველები, უპირველეს ყოვლისა, გამოცდილი ფეხბურთელები შევცოვი და მელიქია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მცველთა უმეთვალყურეობის გამო სურვილისამებრ, შეუფერხებლად მოქმედებდა ზემლინი და ოთხივე ბურთი „გურიის“ კარში სწორედ მან გაიტანა. ლანჩხუთელთა მცველებმა თამაშის სრული თავისუფლება მისცეს „კუზბასის“ ყველაზე სახიფათო მოთამაშეს რაზდაევსაც. ყოველივე ამის შედეგი იყო ის, რომ სტუმრებმა თავიდანვე დაჯაბნეს მეტოქე და ღირსეული გამარჯვებაც მოიპოვეს.

პირველ ტაიმში ზემლინმა რამდენიმეჯერ მოუგო ორთაბრძოლა შევცოვს და ერთ-ერთი მათგანი გოლითაც დაამთავრა. ტაიმის დასასრულს დანელიამ შეძლო თანაფარდობის აღდგენა — 1:1, მაგრამ შესვენების შემდეგ ზემლინი კვლავ მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი იყო მასპინძელთა კარის წინ, რაზდაევთან ზუსტი ურთიერთმოქმედების შემდეგ მან ზედიზედ სამჯერ აიღო მასპინძელთა კარი. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო კოპალეიშვილმა ანგარიშში სხვაობის შემცირება ერთი ბურთით.

„გურია“ დამარცხდა — 2:4, ისიც საკუთარ მინდორზე, მაშინ როცა მისთვის ესოდენ საჭიროა სრული მონდომებით, სრული ძალით ბრძოლა.

**ავთანდილ ორმოცაძე.**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

ბათუმის დინამოელებმა ამავე დღეს დუშანბეში ითამაშეს „პამირთან“ და მარცხი განიცადეს — 0:4.

დამარცხდა გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი რიგის „დაუგავაც“, რომელიც შინ ეთამაშებოდა მოსკოვის „ლოკომოტივს“. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს ლოკომოტიველებმა.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: ასკ (დონის როსტოვი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 1:2, „ატლანტასი“ (კლაიპედა) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 1:3, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 3:1, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) „ისკრა“ (სმოლენსკი) 2:0, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:2, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — ასკ (ხაბაროვსკი) 1:1, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 0:0.

**შემდგომ, XX ტურში (21 აგვისტო) ლანჩხუთის „გურია“ თავის მინდორზე კვლავ ერთ-ერთ აუტსაიდერს ხაბაროვსკის არმიელთა გუნდს შეხვდება, ხოლო ბათუმის „დინამო“ ტაშკენტში ითამაშებს „ფახთაქორთან“.**

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 20 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დაუგავა“ | 27 | 18 | 6 | 3 | 61-26 | 42 |
| „პამირი“ | 28 | 13 | 9 | 6 | 43-26 | 35 |
| „გურია“ | 28 | 15 | 4 | 9 | 40-36 | 34 |
| ცსკა | 26 | 14 | 5 | 7 | 38-22 | 33 |
| ასკ „კარ.“ | 28 | 13 | 7 | 8 | 44-31 | 33 |
| „შინიკი“ | 28 | 13 | 7 | 8 | 27-19 | 33 |
| „ლოკომ.“ | 28 | 12 | 8 | 8 | 38-29 | 32 |
| „როტორი“ | 28 | 14 | 3 | 11 | 40-30 | 31 |
| „დინამო“ ბ. | 28 | 13 | 5 | 10 | 31-34 | 31 |
| „როსტს.“ | 27 | 11 | 9 | 7 | 45-37 | 31 |
| „კოლოსი“ | 27 | 11 | 8 | 8 | 29-29 | 30 |
| „ფახთაქ.“ | 28 | 12 | 5 | 11 | 37-43 | 29 |
| „ფაკელი“ | 28 | 10 | 7 | 11 | 29-29 | 27 |
| „სპარტაკი“ | 28 | 8 | 10 | 10 | 39-38 | 26 |
| „ყუბანი“ | 28 | 8 | 10 | 10 | 26-29 | 26 |
| „მეტალ.“ | 26 | 10 | 5 | 11 | 34-31 | 25 |
| ასკ რ. | 28 | 9 | 7 | 12 | 30-33 | 25 |
| „კოტაიკი“ | 28 | 8 | 9 | 11 | 28-28 | 25 |
| „კუზბასი“ | 27 | 7 | 9 | 11 | 33-42 | 23 |
| „დინ.“ სტ. | 27 | 5 | 12 | 10 | 29-33 | 22 |
| „ისკრა“ | 28 | 7 | 7 | 14 | 17-38 | 21 |
| ასკ ხ. | 28 | 6 | 8 | 14 | 31-44 | 20 |
| „ატლანტ.“ | 27 | 5 | 6 | 16 | 20-42 | 16 |
| „ნისტრუ“ | 28 | 3 | 6 | 19 | 18-58 | 12 |

## ითხოვენ მსოფლიო ჩემპიონთა ტურნირს

**ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ ოფიციალური თხოვნით მიმართა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას ნება დართოს 1989 წელს მოაწყოს ოფიციალური საერთაშორისო ტურნირი მსოფლიოს ყველა ჩემპიონის მონაწილეობით.**

ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა ოქტავიო გიმარაეშმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თუ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია დათანხმდა, მსოფლიო ჩემპიონთა 1989 წლის ტურნირი გაიმართება ბრაზილიის, არგენტინის, ურუგვაის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიისა და ინგლისის გუნდების მონაწილეობით. ისინი გაითამაშებენ „ჟოაო აველანჟის თასს“. ეს იქნება ერთ-ერთი უმაღლესი რანგის, მეტად საინტერესო და საყურადღებო შეჯიბრება.

ბრაზილიელებს უკვე შემუშავებული აქვთ სავარაუდო შეჯიბრების ფორმულა. შექმნილია „ა“ და „ბ“ ჯგუფები, პირველში შედიან ბრაზილიის, ინგლისისა და ურუგვაის, ხოლო მეორეში — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, არგენტინისა და იტალიის გუნდები. შეჯიბრება 3 ივნისს დაიწყება სან-პაულუში, ჯგუფებში გამარჯვებულნი 11 ივნისს ერთმანეთს შეხვდებიან რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანას“ სტადიონზე.

# რა განკურნავს იტალიის ფეხბურთს?

**უცხოეთის** მრავალ ქვეყანაში საფეხბურთო ტოტალიზატორები არსებობს, ასეთი ტოტალიზატორი, რა თქმა უნდა, არის იტალიაშიც. პრინციპი ტოტალიზატორისა მარტივია: კალენდარული ტურის წინ მსურველებმა თავიანთი პროგნოზებით უნდა შეავსონ სპეციალური ბარათები და გაუგზავნონ ორგანიზატორებს. გამარჯვებულები ხშირად საკმაოდ დიდ თანხას იგებენ.

მაგრამ ტურის შედეგების გამოცნობა იოლი საქმე არაა. ფეხბურთის ცოდნის გარდა რაღაც გარკვეული იღბალიც უნდა ჰქონდეს კაცს, ამიტომაც შემთხვევითი არაა, რომ ტოტალიზატორში ხშირად იმარჯვებენ არა ფეხბურთის მცოდნენი, არამედ პროფანები, ამ საქმის სრული უცოდინარნი.

მართლაც, ზუსტად გამოიცნო ტურის შედეგები ძნელზე ძნელი საქმეა: უნდა იცნობდე გუნდებს, მათ შეხვედრათა წარსულს, ბოლო წლების ისტორიას, სტატისტიკას, იცოდე თითოეული მათგანის ძალა კონკრეტულ პერიოდში, გაითვალისწინო შექმნილი მდგომარეობა, სად მიმდინარეობს თამაში, გუნდების შემადგენლობანი, მხედველობაში მიიღო მსაჯები და მრავალი სხვა.

რახან ტოტალიზატორში სერიოზულ თანხებზე და დიდ მოგებებზეა ლაპარაკი, ცხადია, არის ხალხი, რომელიც მარტოოდენ ბედ-იღბალს, ან, თუნდაც, საკუთარ ცოდნას არ ენდობა და სხვა, უფრო ქმედითი საშუალებით ცდილობს სწორ პროგნოზირებას, სწორი პროგნოზირება კი იტალიაში არსებითად იმას ნიშნავს, საქმე იქონიო უშუალოდ კლუბების, ხელმძღვანელებთან, მწვრთნელებთან, დაუკავშირდე თვით ფეხბურთელებს, მსაჯებს და ა. შ. ესე იგი წინასწარვე ზუსტად იცოდე სად რა მოხდება.

ფეხბურთის მოყვარულებს ალბათ ახსოვთ ის ბინძური ისტორია, 1982 წელს რომ იყო დაკავშირებული იტალიის საფეხბურთო მაფიასთან. მაშინ დანაშაულებრივ მაქინაციებში ამხილეს ცალკეული ფეხბურთელებიც და იტალიის წამყვანი კლუბებიც, მწვრთნელებიც და ფედერაციის გამგებელი პირებიც.

პოლიციამ მაშინ მიაკვლია დანაშაულის სათავეს, სასწრაფოდ დააპატიმრეს იტალიის გამოჩენილი ფეხბურთელები როსი, ალბერტოზი, ჯორდანო, მანფრედონია, კლუბების პრეზიდენტები, ფედერაციის გამგებელნი და, რა თქმა უნდა, ისინიც, ვინც უშუალოდ მართავდა ტოტალიზატორში ყალთაბანდობას. იტალიაში შედგა სასამართლო, მაგრამ ფეხბურთელები და კლუბების ოფიციალური წარმომადგენლები მკაცრ მსჯავრს გადარჩნენ, ვინაიდან იტალიის რესპუბლიკის კანონმდებლობას, თურმე არა ჰქონია პუნქტები ამ ჯურის თაღლითობისთვის პატიმრობის მისასჯელად. ფეხბურთელები მაშინ წმინდა სპორტული ხასიათის დისკვალიფიკაციით გადარჩნენ, მაგრამ იტალიის პარლამენტის რამდენიმე დეპუტატმა კატეგორიულად მოითხოვა სისხლის სამართლის კოდექსში გაეთვალისწინებინათ მკაცრი სასჯელები ტოტალიზატორში მაქინაციებისთვის.

მას შემდეგ 4 წელი გავიდა, შეიტანეს თუ არა იტალიის სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი პუნქტები საფეხბურთო თაღლითობის თაობაზე, ვერ გეტყვით, მაგრამ ახლა ამ ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრებაში კვლავ სკანდალია, ცნობილი მოთამაშეები, მწვრთნელები, კლუბების ხელმძღვანელები, საფეხბურთო თანამდებობის მქონე ხალხი ისევ წინასწარი გარიგებით აწყობს საქმეს საფეხბურთო ტოტალიზატორში, უბრალო ადამიანები კი, ფეხბურთის მოყვარულები, გულშემატკივრები, უმოწყალოდ ზარალდებიან. ან როგორ შეიძლება მათი პროგნოზები გამართლდეს, როცა სწორედ ამ ჩაწყობილი თამაშების მეოხებით ფავორიტები და ლიდერები უსირცხვილოდ აგებენ აუტსაიდერებთან. უცხოეთის პრესა, სააგენტოები ვრცელ ადგილს უთმობენ იტალიური საფეხბურთო მაფიის ახალ დანაშაულებრივ საქმიანობას, ქალაქ მილანში დაიწყო სასამართლო პროცესი, სამსჯავროში მიცემულია იტალიის სამივე ლიგის 30-ზე მეტი კლუბის 62 წარმომადგენელი, მათ კონკრეტულად ედებათ ბრალი 32 მატჩის ყალბ შედეგებზე, წინასწარ შეთანხმებებზე 1985 წლის 13 იანვრიდან 1986 წლის 13 აპრილამდე.

საყურადღებოა, რომ ახლანდელ სასამართლო პროცესშიც იგივე საბრალმდებლო მოტივებია, რაზეც საერთაშორისო პრესა ამდენს წერდა 1982 წელს: იატაკქვეშა ტოტალიზატორის ორგანიზატორები დიდი თანხის საფასურად იყაბულებდნენ ფეხბურთელებს, მწვრთნელებს, კლუბების მეთაურებს, მსაჯებს და ზუსტად იმ შედეგს აღწევდნენ, რომელიც საკუთრივ ჰქონდათ აღნიშნული ტოტალიზატორის ბარათებში.

არის კიდეც თავისებური „ლიდერი“, ამ მაქინაციათა უმთავრესი ორგანიზატორი. ესაა მეორე ლიგის კლუბი „პერუჯა“, რომელმაც 38 მატჩში 26 შედეგი წინასწარ „განსაზღვრა“ გარიგებით, პირველ ლიგაში ყველაზე მეტი ყალთაბანდობაა ცნობილი კლუბის „უდინეზეს“ აქტივში (აქ სულ ახლახან გამოდიოდა ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი ზიკო). დამნაშავეთა სკამზე აღმოჩნდნენ „ნაპოლის“ წარმომადგენლებიც, სადაც მსოფლიო ჩემპიონი არგენტინელი დიეგო მარადონა თამაშობს.

შეიძლება, სასამართლოს არც ახლა აქვს უფლება იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად პატიმრობა მიუსაჯოს ფეხბურთელებს და მწვრთნელებს, მაგრამ ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას შეუზღუდავი ნება აქვს საერთოდ აუკრძალოს ფეხბურთელს ჩემპიონატებში მონაწილეობა, მწვრთნელებს — გუნდების ხელმძღვანელობა; ან კლუბი, რომლის წარმომადგენლებსაც დამნაშავედ მიიჩნევენ, ზემო ლიგიდან ქვევით გადაიყვანოს. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ კორუფციის, მოსყიდვის მრავალი ფაქტი აღმოაჩინა, ფედერაციის გადაწყვეტილებამ კი საფუძვლიანად შეარყია იტალიის საფეხბურთო სამყარო: მნიშვნელოვნად იცვლება სხვადასხვა ლიგის შემადგენლობანი, იტალიის ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე კი თვეზე ნაკლებიღა დარჩა.

ამ დიდ სკანდალს უკვალოდ არ ჩაუვლია. თანამდებობიდან გაათავისუფლეს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ფრედერიკო სორდილიო, ფედერაციის სამივე ვიცე-პრეზიდენტი და კლუბების დირექტორები. იტალიის ფედერაციას ახლა დროებით ხელმძღვანელობს ამ ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ფრანკო კორარო.

ბრალი ედება „რომას“ კლუბის პრეზიდენტს დინო ვიოლასაც. დინო ვიოლა დიდად პატივცემული კაცია თავის ქვეყანაში — სენატორი, პარლამენტის წევრი, აქ კი რაღაც საფეხბურთო ქრთამებზე და არალეგალურ ტოტალიზატორზეა ლაპარაკი. დ. ვიოლას არ დაუმალავს, რომ 1984 წელს 100 მილიონი ლირა გადასცა შუამავალ საქმოსანს, ვინმე ა. ლანდინის იმ მიზნით, რომ მოესყიდა ფრანგი არბიტრი მ. ვოტრო, რომელიც ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ნახევარფინალურ მატჩს მსაჯობდა „რომასა“ და შოტლანდიის „დანდი იუნაიტედს“ შორის. „რომამ“ მაშინ გაიმარჯვა, მაგრამ მატჩის არბიტრს მ. ვოტროს კაპიკიც არ მიუღია, უბრალოდ — ე. ლანდინიმ „რომას“ პრეზიდენტის დინო ვიოლას ფული მიისაკუთრა, ხოლო მთელი ეს ულამაზო ისტორია საერთაშორისო პრესას მოედო. დ. ვიოლა მსაჯის მოსყიდვის მცდელობისთვის გაათავისუფლეს კლუბის პრეზიდენტობიდან და 4 წლით აუკრძალეს ფეხბურთთან დაკავშირებული ყოველგვარი საქმიანობა. „რომას“ დისკვალიფიკაცია მისცეს და აუკრძალეს ევროპის ყოველგვარ საკლუბო ტურნირში მონაწილეობა.

ამასთან დაკავშირებით იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ აპელაცია შეიტანა იმ მოტივით, რომ უშუალოდ კლუბი არაფერ შუაშია, თუკი მისი პრეზიდენტი ყალთაბანდობას ეწეოდა. პროტესტმა შედეგი გამოიღო, „რომას“ დისკვალიფიკაცია 200 ათასი შვეიცარიული ფრანკის (113 ათასი დოლარი) ჯარიმით შეუცვალეს.

„უდინეზე“ პირველი ლიგიდან მეორეში ჩამოაქვეითეს, „ვიჩენცამ“ შარშან მეორედან პირველ ლიგაში გადაინაცვლა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობის მაქინაციები გამოაშკარავეს და გუნდი კვლავ მეორე ლიგაში დატოვეს. „უდინეზეს“ და „ვიჩენცას“ ნაცვლად პირველ ლიგაში გამოვლენ „პიზა“ და „ემპოლი“.

„უდინეზეს“ კლუბის დირექტორს ტ. კორსის ხუთი წლით ექსორია უყვეს ფეხბურთიდან, ამ ხნის განმავლობაში იგი ვერავითარ ოფიციალურ თანამდებობას ვერ დაიკავებს ვერც ფედერაციაში, ვერც რომელიმე კლუბში. მკაცრად დასაჯეს ლიგის მრავალი ფეხბურთელი.

ერთი სიტყვით, იტალიაში დიდი საფეხბურთო სკანდალია, ქვეყნის პროგრესული სპორტული წრეები ცდილობენ ალაგმონ საფეხბურთო მაფიის ბოროტმოქმედებანი, მათი მოწოდებაა — იტალიელებო, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები ვართ, ამგვარი თაღლითობა არ ეკადრება ჩვენს მაღალ საფეხბურთო რეპუტაციას!

# ქალთა კალათბურთი სტილს იცვლის

კალათბურთელ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ საკმაოდ საფუძვლიანი საუბარი დაიწყო იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განვითარდეს ქალთა კალათბურთი, რა გზას უნდა დაადგნენ მსოფლიოს უძლიერესი გუნდები და უახლოეს მომავალში ვის როგორი შესაძლებლობები ექნება. როცა დღის წესრიგში ასეთი საკითხები დგება, იმას ნიშნავს, რომ ქალთა კალათბურთში თვისობრივი ცვლილებები მართლაც დაიწყო.

აი რა განაცხადა ამის თაობაზე მოსკოვში სტუმრად მყოფმა საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ბორისლავ სტანკოვიჩმა (იუგოსლავია): „მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზაციაზე არაფერს ვამბობ. მე ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ იგი უმაღლეს დონეზე ჩატარდებოდა. რაც შეეხება კალათბურთის ტექნიკურ დონეს, მან მართლაც თვისობრივი ნახტომი გააკეთა. აშშ-ის, კუბისა და ჩინეთის გუნდების მაგალითზე უკვე თამამად შეიძლება თანამედროვე კალათბურთის პროგრესულ ტენდენციაზე ლაპარაკი.

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი სპორტული ორგანიზაციაა, რომელიც თავის რიგებში 165 ეროვნულ ფედერაციას აერთიანებს. კალათბურთს მსოფლიოში 250 მილიონი ადამიანი თამაშობს. მათ შორის მესამედი — ქალია. ამ ჩემპიონატმა გვიჩვენა, რომ ქალთა კალათბურთი ამერიკასა და ევროპაში სწორი გზით ვითარდება. პროგრესი შეიმჩნევა სხვა კონტინენტებზეც. ამიტომ საერთაშორისო ფედერაციას გადაწყვეტილი აქვს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეთა რაოდენობა თექვსმეტამდე გაზარდოს...

ბოლო სამი კვირის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა საგრძნობი ცვლილებები განიცადა. ამ ცვლილებებს უკვალოდ არ ჩაუვლია, მაგრამ გუნდის ახალი მწვრთნელი ასეთ მოკლე დროში ჩემპიონთა კოლექტივს, ცხადია, ვერ მოამზადებდა. რეორგანიზაციის შემდეგ დრო არის საჭირო, რათა თამაშმა მწყობრი და სტაბილური სახე მიიღოს“.

ბულგარელ ვანია ვოინოვას — 1959 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ცენტრალურ თავდამსხმელს — მიაჩნია, რომ ქალთა კალათბურთში გარდატეხის პერიოდი დაიწყო. საგრძნობლად შეიცვალა თამაშის სტილი. კალათბურთი უფრო სწრაფი, დინამიური და შედეგიანი გახდა. ვოინოვას აზრით. „ახალმა სტილმა ქალთა კალათბურთის თარგი მამაკაცური ხაზებით შეავსო. თუ ვინმეს აინტერესებს როგორია ეს სტილი, გაიხსენოს აშშ-ის გუნდის გამოსვლები კეთილი ნების თამაშებსა და მსოფლიო ჩემპიონატში“.

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ქალთა კომისიის თავმჯდომარემ, იტალიელმა ალდო ვიტალემ აღნიშნა, რომ კალათბურთის მომავლის ეტალონად აშშ-ის ნაკრები უნდა მივიჩნიოთ. „ამ ეტალონს ყველაზე მეტად საბჭოთა კავშირის ნაკრები უახლოვდება, რომლის წევრებს ჯერ აკლიათ გამოცდილება, მაგრამ აქვთ ბრწყინვალე მონაცემები“. ვიტალემ საბჭოთა ნაკრებში განსაკუთრებით ირინა გიორლიცის, ირინა მინხისა და სვეტლანა კუზნეცოვას აზრიანი, „წმინდა მამაკაცური“ თამაში გამოჰყო.

# და მაინც ცსკა

(დასასრული)

ყო. დინამოელთა ლიდერმა ვერც ამჯერად შეძლო სარბიელზე გამოსვლა, რამაც უთუოდ მოახდინა გავლენა თამაშზე. ყოველ შემთხვევაში, არმიელებს ორივე ფართან საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ, განსაკუთრებით მატჩის მეორე ნახევარში. „დინამოს“ საქმე იმანაც გაურთულა, რომ ბოროდაჩოვმა ახლაც მეორე ტაიმის დასაწყისშივე მეხუთე პერსონალური შენიშვნა მიიღო და მოედანი დატოვა.

თუმცა დასაწყისიდან მატჩი მასპინძელთათვის ხელსაყრელად წარიმართა.

ამ პერიოდში „დინამოს“ მთავარი იარაღი სწრაფი კონტრშეტევა და შორიდან ზუსტი ტყორცნა იყო. არმიელთა მწვრთნელი იური სელიხოვი ზედიზედ ცვლიდა კალათბურთელებს, მაგრამ ვერც ერთი ხუთეული სტაბილურად ვერ თამაშობდა. ტაიმი მასპინძლებმა მოიგეს — 48:37.

ეს თერთმეტქულიანი უპირატესობა სტუმრებმა აქტიური თამაშით მეორე ტაიმის დასაწყისშივე დააკარგვინეს ჩვენს გუნდს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ანდრეი ლოპატოვი, რომელსაც თბილისელებმა ვერაფერი მოუხერხეს, არადა, იგი 30 წუთის განმავლობაში ოთხი პერსონალური ჯარიმით თამაშობდა. „დინამოს“ წევრები ისევ შორი მანძილიდან ტყორცნის იმედად იყვნენ, მაგრამ ხშირად სიჩქარის გამო ვერ აღწევდნენ მიზანს. მიუხედავად ამისა, არმიელებს საგრძნობი უპირატესობა არ მოუპოვებიათ, მეორე ტაიმში თამაში, თუ დასაწყისს არ მივიღებთ მხედველობაში, დაახლოებით თანაბარი იყო. მატჩის მიწურულს არმიელებმა მეტი სიდინჯე გამოიჩინეს, უფრო მიზანსწრაფულად დაიწყეს თამაში და გაიმარჯვეს კიდეც — 83:78 (37:48). სტუმართაგან ყველაზე შედეგიანი იყო ანდრეი ლოპატოვი, რომელმაც 26 ქულა მოაგროვა. ანდრეი ტიუბინის ანგარიშზეა 24 ქულა.

იმავე დღეს კიევის არმიელებმა კიშინიოვის „მოლდოვა“ დაამარცხეს— 95:70 (49:28).

ამრიგად, თბილისის ქვეჯგუფში გამართულ შეხვედრებში მოსკოვის არმიელებმა ყველა მეტოქეს აჯობეს და საკავშირო თასის გათამაშების ფინალურ ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვეს.

## მსოფლიო ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში



# ლუგანისს კონკურენტი არ ჰყავდა

**მადრიდი.** მსოფლიო ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში ტემპს იღებს. შეჯიბრებაში ჩაებნენ მოცურავეები. და როგორც მოსალოდნელი იყო ჩემპიონატის სტარტზე ყველაზე მეტი ოქროს მედალი გდრ-ის სპორტსმენებმა მიიღეს.

ვაჟთა ესტაფეტაში 4X200 მ პირველი ადგილი გდრ-ის ძლიერმა გუნდმა მოიპოვა — 7.15,91. გფრ-ის მოცურავეები გამარჯვებულს მცირედით ჩამორჩნენ — 7.15,96. 200 მ. ბრასში ქალთა შორის ყველას ზილკე ჰერნერმა (გდრ) აჯობა, თანაც მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა — 2.27,40. ამავე დისტანციაზე, ოღონდ თავისუფალი სტილით ცურვაში, პირველი-მეორე ადგილები გდრ-ის წარმომადგენლებმა ჰაიკე ფრიდრიჰმა (1.58,26) და მანუელა შტელმახმა (1.58,90) დაისაკუთრეს.

ვაჟთა კომპლექსურ ცურვაში 400 მეტრზე ჩემპიონი უნგრელი ტამაშ დარნი გახდა — 4.18,98. აქ ვერცხლის მედალი საბჭოთა მოცურავეს ვადიმ იაროშჩუკს ერგო — 4.22,03. 100 მ. ბატერფლაით ვაჟთა ცურვაში ოქროსა და ვერცხლის მედლები ამერიკელებმა პაბლო მორალესმა (53,54) და მეტ ბიონდიმ (53,67) მოიპოვეს.

ტრამპლინიდან ხტომაში ვაჟთა შორის კონკურენტი არ ჰყავდა ოლიმპიურ ჩემპიონს გრეგ ლუგანისს (აშშ). მან ჩემპიონის ოქროს მედალი დიდი უპირატესობით მოიგო — 750,06 ქულა. ლუგანისმა მეორე ადგილზე გასულ ჩინელ ტან ლიანდეს 58 ქულით აჯობა. საბჭოთა სპორტსმენებმა ნიკოლაი დროჟინმა (584,52) და ალექსეი კოგლევმა (503,04) შესაბამისად მეშვიდე და მეთერთმეტე ადგილები დაიკავეს.

### ახალი რეგლამენტით

სექტემბრის დასაწყისში გდრ-ის ქალაქ ზულში მსროლელთა 44-ე მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება, რომელშიც ორგანიზატორთა განცხადებით, მონაწილეობას მიიღებს სპორტსმენთა სარეკორდო რაოდენობა — 60 ქვეყნის 1200-მდე მსროლელი.

რამ გამოიწვია ასეთი დიდი ინტერესი მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისადმი? მიმომხილველთა აზრით, მიზეზი ტურნირის ჩატარების ახლებურ წესში უნდა ვეძებოთ.

ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი წევრის განცხადებით, მთავარი სიახლე ფინალური შეჯიბრებების რეგლამენტს შეეხება. ზული მონაწილეთა მისაღებად უკვე მზად არის. წარმატებით ჩაატარა გამოცდა ახალმა ელექტროტაბლომ, რომელიც დიდად შეუწყობს ხელს მსაჯებს, 50-მეტრიან სასროლეთზე კი მათ განკარგულებაში სატელევიზიო მონიტორებიც იქნება.

### აკრძალული და უცხო ხილი

„ჩვენი ქვეყანა ფეხბურთელთა ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე ფართოდ იყო წარმოდგენილი... სავაჭრო ფირმებით. ერთი გუნდის შექმნა კი ვერ იქნა და ვერ მოვახერხეთ“ — სინანულით და საყვედურით ამბობენ აშშ-ის ფეხბურთის მოყვარულები.

მართლაც, მექსიკის სტადიონებზე ვაჭრობდნენ „კოკა კოლას“ ნაწარმით, „ბუდვაიზერის“ ლუდით, „ჟილეტის“ საპარსებით, „ქემელის“ სიგარეტებით... არ იყო მხოლოდ (ისევე როგორც წინა ჩემპიონატებში) ამ ქვეყნის გუნდი.

მსოფლიოში ყველაზე პოპულარული თამაში ამერიკელებისთვის დღემდე უცხო ხილად რჩება. ასე ფიქრობს აშშ-ის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ალკის პანაგულაისი, რომელმაც ოფიციალური წრეების ყურადღება ვერაფრით ვერ მიიპყრო. არადა, შოტლანდიის გუნდის წევრის რიჩარდ გაფის აზრით, ამ ქვეყანაში ბევრი კარგი ფეხბურთელი ცხოვრობს.

### „შეცდომებს აღარ გავიმეორებთ“

კანადას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მესამედ უმასპინძლოს ოლიმპიურ თამაშებს. ამჯერად მაძიებლის როლში ქალაქი ტორონტო გამოდის.

ქალაქის მერმა არტ ეგლტონმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა:

— ჩვენ საშუალება გვაქვს 1996 წელს კონკურენცია გავუწიოთ ათენს, რომელიც ოლიმპიური თამაშების მასპინძლობას აპირებს. ამასთან დაკავშირებით სპეციალური საუბარი მქონდა სოკ-ის პრეზიდენტ სამარანჩთან, რომელმაც დახმარება და მხარდაჭერა აღგვითქვა, თუმცა იქვე გაგვაფრთხილა, რომ ათენის იგნორირება არამც და არამც არ შეიძლება, ვინაიდან 1996 წელს ოლიმპიური თამაშების აღორძინების 100 წლისთავი სრულდება.

ეგლტონის აზრით, მონრეალის ოლიმპიურმა თამაშებმა (1976 წელი) კანადელებს ბევრი რამ ასწავლა:

— მონრეალი დღემდე ვერ ამოვიდა ვალებიდან, ჩვენ კი ისე მოვაწყობთ თამაშებს, რომ ხალხს იგი მძიმე ტვირთად არ დააწვეს.

როგორ ფიქრობს ამ პრობლემის გადაწყვეტას, ამის შესახებ ეგლტონს არაფერი უთქვამს.

### ჩვიდმეტი წლის ჩემპიონი

17 წლის მოფარიკავე გოგონას ანია ფიჰტელის (გფრ) სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ბულგარეთის მსოფლიო ჩემპიონატში ოქროს მედალი მოიპოვა, მაშინ იგი ყველასეუბნებოდა, ყველაზე დიდი ოცნება უკვე ამისრულდაო. ახლა ფიჰტელი ცოტა სხვაგვარად ფიქრობს: კარგი იქნება თუ ამ წარმატებას ოლიმპიურ თამაშებშიც გავიმეორებო.

ანია ჯერ სულ ბავშვია, სკოლა წლეულს დაამთავრა და კომერსანტ-კომივოიაჟორის სპეციალობის მიღებას აპირებს. „სამსახური სულაც არ შემიშლის ხელს სპორტში, სამაგიეროდ ბევრ ქვეყანას ვნახავ და გავიცნობ მსოფლიოს ყველა საუკეთესო მოფარიკავეს. კონკურენტებთან პირადი კონტაქტები და ნაცნობობა ხელს შემიწყობს მათი შესაძლებლობების ამოცნობაში“ — უსმენ მსოფლიოს ახალ ჩემპიონს და არც კი გჯერა, რომ იგი მხოლოდ 17 წლისაა.

### ჯოინერი მადლობას უხდის

როგორც ვიუწყებოდით, ჰიუსტონის სპორტულ ფესტივალზე ამერიკელმა მძლეოსანმა ჯეკი ჯოინერმა შვიდჭიდში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. შეჯიბრების შემდეგ სპორტსმენმა განაცხადა, რომ ამ რეკორდს საფუძველი ჯერ კიდევ მოსკოვში, კეთილი ნების თამაშების დროს ჩაეყარა.

პრესკონფერენციაზე ჯოინერმა ბევრი ილაპარაკა მოსკოვში გატარებულ დღეებზე, ხაზი გაუსვა საბჭოთა მაყურებლების კეთილგანწყობილებას და აღნიშნა, რომ მაშინ სარეკორდო შედეგის ჩვენებაში (ჯოინერმა მსოფლიო რეკორდი მოსკოვშიც გააუმჯობესა) დიდი დახმარება გაუწია მთავარმა კონკურენტმა ნატალია შუბნიკოვამ, რომელმაც 800 მეტრზე რბენაში თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზა და ბოლომდე შეინარჩუნა იგი.

## კალეიდოსკოპი

### მოყვარულებიდან პროფესიონალებში და უკან

1981 წელს სან-ფრანცისკოელმა მძლეოსანმა რენალდო ნეჰემიამ 110 მეტრზე თარჯრბენში ახალი მსოფლიო რეკორდი (11,93) დაამყარა. ერთი წლის შემდეგ მან მძლეოსნობას თავი დაანება და ხელი მოაწერა კონტრაქტს პროფესიონალ ფეხბურთელთა კლუბ „სან-ფრანცისკო-49“-სთან, მაგრამ ახალ ამპლუაში ვერ ივარგა და გადაწყვიტა ისევ მძლეოსნობას დაბრუნებოდა.

ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო. მის განცხადებას მოყვარულ მძლეოსანთა საერთაშორისო კავშირი თითქმის სამი წლის განმავლობაში არჩევდა. ბოლოს და ბოლოს ნეჰემიამ და მისმა ადვოკატმა გაიმარჯვეს: იააფ-მა (მძლეოსანთა სამოყვარულო კავშირი) ყოფილ პროფესიონალს სამოყვარულო მძლეოსნობაში დაბრუნების უფლება მისცა.

### ფსიქოლოგი მოიწვიეს

აქამდე სათხილამურო სპორტში ექიმ-ფსიქოლოგს არ მიმართავდნენ, მაგრამ ამას წინათ, ავსტრიის სათხილამურო სპორტის ფედერაციამ კალგარის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პერიოდში ნაკრებ გუნდს ფსიქოლოგი დაუნიშნა.

ექიმი სპორტსმენებთან მუშაობას 1986 და 1987 წლების სპორტული სეზონების მიჯნაზე შეუდგება და მათ ოთხი ტრამპლინის ტურნირზე გაჰყვება, რათა დაკვირვებები ადგილზევე, ე. წ. სამუშაო პირობებში ჩაატაროს.

ამასთან დაკავშირებით ავსტრიის პრესამ ერთი ამბავი გაიხსენა. მსოფლიოს ექსჩემპიონი ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში არმინ კოგლერი დიდი შეჯიბრებების წინ, როგორც წესი, თვითონ ატარებდა აუტოგენურ ვარჯიშებს და არც ნემსებით მკურნალობაზე ამბობდა უარს.

## კალეიდოსკოპი

# მსოფლიო რეკორდი ვერ გააუმჯობესა

**კიოლნი.** მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პროგრამით გათვალისწინებული „გრან-პრის“ შეჯიბრების ერთ-ერთი ეტაპი გფრ-ის ამ ქალაქში ჩატარდა. მაყურებლები დიდი ინტერესით მოელოდნენ სიმაღლეზე მხტომელ ვაჟთა გამოსვლას, სადაც მთავარ ფავორიტებად მსოფლიო რეკორდსმენი იგორ პაკლინი (სსრ კავშირი) და ამერიკელი ჯიმი ჰოვარდი ითვლებოდნენ.

პაკლინმა მართლაც გაიმარჯვა, თანაც საკმაოდ მაღალი შედეგი — — 237 სმ. აჩვენა (წლეულს ასეთი მაჩვენებელი მსოფლიოში არავის ჰქონია). მაგრამ იგი ამაზე არ შეჩერდა და თავისივე რეკორდის (241 სმ.) გაუმჯობესება გადაწყვიტა. მაგრამ თამასა, რომელიც 242 სანტიმეტრის სიმაღლეზე იყო გადებული, რეკორდსმენს ამჯერად არ დაემორჩილა. ჯიმ ჰოვარდმა მეორე ადგილი არც ისე მაღალი შედეგით (230 სმ) დაიკავა.

# „სპორტლოტო“

**მოსკოვში** შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 33-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 8 (ტრეკზე ველორბოლა), 10 (წყალბურთი), 16 (საცხენოსნო სპორტი), 17 (ციგურაობა), 29 (სასტენდო სროლა), 42 (ჩოგბურთი).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 1 (კალათბურთი), 2 (ბიატლონი), 17 (ციგურაობა), 18 (მძლეოსნობა), 22 (წყალში ხტომა).

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 20 აგვისტო.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი საწყლოსნო სპორტის სახეობებში: წყალბურთი (გადმოცემა ესპანეთიდან) — **21.20 (2);** საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში: შვეცია — სსრ კავშირი (გადმოცემა — შვეციიდან) — **23.00 (1);** მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩ-რევანში — **0.45 (1).**

**საქართველოს ტელევიზია. 20 აგვისტო.** საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში: შვეცია — სსრ კავშირი — **23.00;** მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩ-რევანში — **0.45.**

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.


**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26.

**ჩვენი ინდექსი:** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07612